

შპს „ონლაინ მოლი“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება.....	5
1. კომპანია და მისი საქმიანობა	6
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები.....	13
4. ამონაგები.....	14
5. მიწოდების ხარჯები.....	14
6. ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები.....	14
7. ძირითადი საშუალებები.....	15
8. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	16
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	16
10. მთლიანი კაპიტალი	16
11. სესხები.....	17
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
13. საგადასახადო ვალდებულებები	17
14. პირობითი ვალდებულებები	17
15. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2022	2021
ამონაგები	4	22,772,327	17,520,661
თვითღირებულება		(13,752,230)	(10,846,581)
საერთო მოგება		9,020,097	6,674,079
სხვა შემოსავლები		295,621	471,417
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	6	(6,302,070)	(4,201,171)
მიწოდების დანახარჯები	5	(1,231,431)	(733,315)
სხვა ხარჯები		(40,714)	(321,392)
საოპერაციო მოგება		1,889,617	1,889,617
ფინანსური ხარჯი		(142,743)	(85,315)
მოგება დაბეგვრამდე		1,598,760	1,804,303
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,598,760	1,804,303

ეს ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმძღვანელობის მხრიდან ხელი მოეწერა 2023 წლის 30 სექტემბერს

ოთარ წურჭუძია

დირექტორი

თამილა ველიაძე

მთავარი ბუღალტერი

14-17 გვერდებზე დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,234,557	534,870
სხვა აქტივები		132,627	43,841
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,367,184	578,711
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	815,333	403,716
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	1,346,333	1,616,484
მარაგები		7,402,026	4,795,431
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,563,692	6,815,631
მთლიანი აქტივები		10,930,876	7,394,342
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10	5,373,676	3,774,916
სულ კაპიტალი		5,373,676	3,774,916
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	529,591	102,424
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		529,591	102,424
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	2,519,755	1,725,118
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	2,008,689	1,456,356
საგადასახადო ვალდებულებები	13	499,165	335,529
სულ მოკლევადიანი ვალდებულება		5,027,610	3,517,002
მთლიანი ვალდებულებები		5,557,200	3,619,426
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10,930,876	7,394,342

ეს ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმძღვანელობის მხრიდან ხელი მოეწერა 2023 წლის 30 სექტემბერს

ოთარ წურწუშია
დირექტორი

თამილ ველიაძე
მთავარი ბუღალტერი

14-17 გვერდებზე დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	3,774,916	3,774,916
პერიოდის სრული შემოსავალი			1,598,760	1,598,760
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	3,774,916	3,774,916

ეს ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმძღვანელობის მხრიდან ხელი მოეწერა 2023 წლის 30 სექტემბერს

ოთარ წურჭუმია
დირექტორი

თამილა ველრაძე
მთავარი ბუღალტერი

14-17 გვერდებზე დართული შენიშვნები მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ამ საწყისი ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ონლაინ მოლი“ („კომპანია“) 2017 წლიდან (4 სექტემბერი) რეგისტრირებულია საქართველოს
კანონმდებლობის მიხედვით როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი მთაწმინის რაიონი, ვ. ბარნოვის -თარხნიშვილის ქ.
N49/29, ბ6

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ონლაინ და საცალო ვაჭრობა ძირითადად
იმპორტირებული საბავშვო პროდუქციით.

კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი არის ოთარ წურწუშია რომელიც ერთპიროვნულად მართავს
კომპანიას.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

• მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო
სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების
სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს
კომპანიის სამუშაო ვალუტას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და
აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება N96-6“-ში მოცემულ მე-3
კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების
ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და
გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან
საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია
ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

• შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და
შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

• პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: - კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს; - კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და - შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

• სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

• ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

• მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

• სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

• ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მეზღუდულ და მეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

• უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისათვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	31.12.2022	31.12.2021
1 USD/GEL	2.7020	3.2766
1 EUR/GEL	2.8844	4.0233

• მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

• ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის ადგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

• ოფისის აღჭურვილობა	15
• სატრანსპორტო საშუალებები	15
• იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15
• მანქანა-დანადგარები	15
• ავეჯი და სხვა ინვენტარი	15
• სარეკლამო საშუალებები	15

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

• არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

• მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

• მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ

შპს „ონლაინ მოლი“

შპს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

• ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელმწიკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელმწიკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრუდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

• საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

• დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

• ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

• იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 33-ე განყოფილების შესაბამისად, მხარეები განიხილება როგორც დაკავშირებული, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებაში.

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების განსაზღვრისას, ყურადღება
გამახვილებულია არა მარტო იურიდიულ ფორმაზე, არამედ ამ ურთიერთობის შინაარსზეც.

• საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების
დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე
ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური
ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება
ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

• ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

კომპანია ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად
წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელია რესურსების გადინება და ვალდებულების
ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. პირობითი
ვალდებულებები აისახება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ
შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება. ის აისახება ფინანსური ანგარიშგების
განმარტებით შენიშვნებში, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანიის მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის
მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში
წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი
ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი
კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო
ღირებულებაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა
საწარმომ. კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს ფულადი
სახსრები მომავალში თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც
შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან
გამომდინარე, საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

საეჭვო დავალიანების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური
ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის
ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით, სვაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურების ობიექტური ნიშნები საანგარიშო
პერიოდისთვის არ გამოვლენილა.

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

4. ამონაგები

	2022	2021
საქონლის გაყიდვა	22,772,327	17,520,661
სულ	22,772,327	17,520,661

5. მიწოდების ხარჯები

	2022	2021
მარკეტინგული ხარჯი	(873,242)	(537,977)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(358,189)	(195,339)
სულ	(1,231,431)	(733,315)

6. ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(3,266,310)	(2,284,429)
მივლინების ხარჯები	(155,184)	(432)
ბანკის საკომისიო	(258,794)	(206,230)
სხვა ხარჯი	(273,380)	(170,941)
იჯარის ხარჯი	(1,825,714)	(1,264,997)
ოფისის ხარჯი	(123,606)	(59,035)
კომუნალური ხარჯები	(124,668)	(64,533)
კომუნიკაციის ხარჯები	(26,554)	(18,813)
დაზღვევის ხარჯი	(17,442)	(7,556)
რემონტი	(108,090)	(42,715)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(30,853)	(29,923)
ცვეთა და ამორტიზაცია	(91,476)	(51,570)
სულ	(6,302,070)	(4,201,171)

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო დრეზულელების ცვლილებები ნაჩვენებია ცხრილში:

	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სარეკლამო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2021	84,316	153,462	154,731	932	199,784	38,515	631,740
შემოსვლა	77,204	24,687	354,774	-	267,548	64,773	788,986
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	161,520	178,149	509,506	932	467,332	103,288	1,420,727
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2021	(22,162)	(16,506)	(39,304)	(201)	(15,158)	(3,540)	(96,870)
პერიოდის ცვეთა	(12,216)	(12,826)	(15,220)	(44)	(41,368)	(7,626)	(89,300)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(34,377)	(29,332)	(54,524)	(245)	(56,526)	(11,166)	(186,170)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	62,155	136,956	115,427	731	184,626	34,975	534,870
31 დეკემბერი 2022	127,143	148,817	454,982	687	410,806	92,122	1,234,556

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

8. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	122,773	134,375
ეროვნული ვალუტა ბანკში	638,498	244,967
უცხოური ვალუტა ბანკში	54,062	24,374
სულ	815,333	403,716

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	470,395	539,982
გადახდილი ავანსები	875,938	921,884
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	33,732
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	120,886
სულ	1,346,333	1,616,484

10. მთლიანი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში.

შპს „ონლაინ მოლი“

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

11. სესხები

	2022	2021
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	529,591	102,424
	529,591	102,424
მოკლევადიანი		
საბანკო ოვერდრაფტი	2,213,226	1,549,514
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	306,630	175,604
	2,519,755	1,725,118
სულ სესხები	3,049,346	1,827,542

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2,021
სავაჭრო ვალდებულებები	1,688,471	1,247,054
მიღებული ავანსები	212,462	170,189
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	107,757	39,113
სულ	2,008,689	1,456,356

13. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად.

14. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ აქვს არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

სამართალწარმოებები - 2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სახის მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადგილი არ ექნება

შპს „ონლაინ მოლი“

შსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

არსებითი დაურიცხავი ზარალის დარიცხვას და შესაბამისად წინამდებარე წინასწარ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შექმნილა.

15. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.